

შპს „ბრიტანულ-ქართული საწარმო ევრომედიკალი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს ბრიტანულ-ქართული საწარმო ევრომედიკალი
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

განმარტებითი შენიშვნები

წინამდებია ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში („ლ“).

შპს ბრიტანულ-ქართული საწარმო ევრომედიკალი
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები		
საქონლის გაყიდვიდან	2 524 071	1 070 104
გაყიდვების თვითღირებულება	(2 375 494)	(873 216)
საერთო მოგება	148 577	196 888
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(245 512)	(301 605)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	(341)	
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	-	-
იჯარის ხარჯი	(39 022)	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(51 324)	-
სულ საოპერაციო ხარჯები	(336 200)	
საოპერაციო მოგება	(187 623)	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	(25 087)	
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(212 710)	
მოგების გადასახადის ხარჯი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(212 710)	

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1 367 688	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(212 710)	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	131 372	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 286 351	

დირექტორი: სოფიო თათოშვილი



მპს ბრიტანულ-ქართული საწარმო ევრომედიკალი
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა			
	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	32 720	1 642 206	598 138
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3 058 574	2 656 642	2 623 022
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	4 832 021		
მარაგები	319 583	299 227	354 772
- მზა პროდუქცია	305		
- სხვა	319 278		
სხვა არამატერიალური აქტივები	3 549	3 006	-
ძირითადი საშუალებები	-	555 000	555 000
სულ აქტივები	8 246 446	5 156 081	4 130 932
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	975 659	3 734 331	2 726 238
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	220 381		
საგადასახადო ვალდებულებები	64 612	54 063	17 478
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	4 271		
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	2 235 096		
სხვა ვალდებულებები	3 460 076		
სულ ვალდებულებები	6 960 095	3 788 394	2 743 716
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1 134 909	1 347 618	1 387 216
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	151 442	20 070	
სულ საკუთარი კაპიტალი	1 286 351	1 367 688	1 387 216
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	8 246 446	5 156 082	4 130 932
სულ მოკლევადიანი აქტივები	8 242 897	4 598 075	3 575 932
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1 264 923	3 788 394	2 743 716

დირექტორი: სოფიო თათოშვილი



შპს ბრიტანულ-ქართული საწარმო ევრომედიკალი
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		1 387 216	
	0		1 387 216
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	0	-39 598	-39 598
კაპიტალის შევსება	20 070	0	20 070
კაპიტალის გატანა	0	0	
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	20 070	1 347 618	1 367 688
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	0	- 212 709	-212 709
კაპიტალის შევსება	131 372	0	131 372
კაპიტალის გატანა			
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	131 372	1 134 909	1 286 351

დირექტორი: სოფიო თათოშვილი



შპს ბრიტანულ-ქართული საწარმო ევრომედიკალი
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

შპს ბრიტანულ-ქართული საწარმო ევრომედიკალი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის
31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბრიტანულ-ქართული საწარმო ევრომედიკალი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის
კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის ნომერი
B13103991) კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.თბილისი,
საბურთალოს რაიონი, გიორგი სააკაძის დაღმართი №6, კომერციული ფართი №13,
სართული 5.
კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო პრეპარატების წარმოება
და რეალიზაცია.

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია
ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული
მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის
(მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად
ერთეულებში (ლარი). უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების
კონვერტირებისათვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი
კურსები.

გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერს

აშშ დოლარი	ევრო
3.2766	4.0233

მპს ბრიტანულ-ქართული საწარმო ევრომედიკალი
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი
ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება
შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა.
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს
მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება და მფლობელობასთან
დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა,
კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება
ან კონტროლი. ამონაგების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის
მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას.
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ
დასაბეგრ მოგებას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც
დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.
ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების
თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების
ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად
გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	
ავეჯი და სხვა ინვენტარი	
არამატერიალური აქტივები	100%

მპს ბრიტანულ-ქართული საწარმო ევრომედიკალი
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივი

არამატერიალური აქტივი ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი, მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით, თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელი განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კონმპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

შპს ბრიტანულ-ქართული საწარმო ევრომედიკალი
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე. დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ ხელფასებს და ნორმალური ფუნქციონირების შესაბამის საწარმოო ზედნადებ დანახარჯებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაიხედოს, რათა მოხდეს იმის განსაზღვრა არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. ასეთ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის

ჯგუფის მიერ გაყიდულ ყველა საქონელს ახლავს გარანტია, რომ მას ერთი წლის განმავლობაში არ აღმოაჩნდება საწარმოო წუნი. საქონლის შეკეთებას ან შეცვლას ჯგუფი ახდენს საკუთარი შეხედულებისამებრ. როდესაც აღიარდება შემოსავალი, კეთდება ანარიცხი საგარანტიო მომსახურების ვალდებულების შეფასებული დანახარჯებისთვის.

შპს ბრიტანულ-ქართული საწარმო ევრომედიკალი
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

3. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია
2020 წლის 30 სექტემბერს